სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2011 წლის 29 მარტს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- **ბრეჟოვეცი ხორვატიის წინააღმდეგ (განაცხადი №13488/07)**

აპლიკანტი ივან ბრეჟოვეცი ხორვატიის მოქალაქეა, დაიბადა 1941 წელს და ცხოვრობს ვოინიჩში (ხორვატია). აპლიკანტის განაცხადის თანახმად, ხორვატიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი უთხრეს ვოინიჩში ბინის შესყიდვაზე, რომელზედაც მას გააჩნდა განსაკუთრებული უფლებები, მაგრამ 1991 წლის ხორვატიის ომის დროს იძულებული გახდა მიეტოვებინა. 2000 წლის ოქტომბერში მას უფლება მისცეს ხელახლა ეცხოვრა სადავო სახლში, თუმცა მესაკუთრის სტატუსი მაინც არ მიენიჭა. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი (საკუთრების დაცვა).

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, სასამართლომ განაცხადა, რომ აპლიკანტის მიერ ამგვარი მოთხოვნა არ დამდგარა დადგენილ ვადებში. სასამართლოს მიაჩნია, რომ ყველაზე შესაფერისი ანაზღაურება იქნებოდა საქმის განხილვენის ხელახალა დაწყება.

- **გუვეია გომეს ფერნანდესი და ფრეიტას ე კოსტა პორტუგალიის წინააღმდეგ (განაცხადი №1529/08)**

აპლიკანტები ლუის გუვეია გომეს ფერნანდესი და ჟოაო მანუელ პერეირა დე ლიმა დე ფრეიტას ე კოსტა პორტუგალიის მოქალაქენი არიან, დაიბადნენ 1957 და 1962 წლებში და ცხოვრობენ ლისაბონში. ისინი არიან ადვოკატები. სასამართლოს დადგენილებით, რომელიც 2007 წელს შევიდა ძალაში, მათ დაეკისრათ სამოქლაქო პასუხისმგებლობა დეფამაციისათვის, მას შემდეგ, რაც პრესაში გაავრცელეს კომენტარები, რომლითაც ზიანი მიადგა მოსამართლის რეპუტაციას, კერძოდ, ისინი მიუთითებდნენ მოსამართლის სავარაუდო ჩართულობას კორუფციაში. განმცხადებლების აზრით, მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება).

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა 33 484 ევროს გადახდა მატერიალური ზიანის დასაფარად, ხოლო არამატერიალური ზიანისათვის – 1 500 ევროს გადახდა, ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად 5 000 ევროს გადახდა.

- **კორნელია პოპა რუმინეთის წინააღმდეგ (განაცხადი №17437/03)**

აპლიკანტი კორნელია პოპა რუმინეთის მოქალაქეა, დაიბადა 1976 წელს და ცხოვრობს კონსტანტაში (რუმინეთი). ის არის ჟურნალისტი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წელს, მას დაეკისრა სისხლისსამართლებრივი დანაშაულისათვის განკუთვნილი ჯარიმის გადახდა და კომპენსაცია არამატერიალური ზიანისათვის, რადგან მისი საგაზეთო პუბლიკაციის შედეგად დაზარალდა მოსამართლის რეპუტაცია.

სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა კოვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, სახელმწიფოს დაეკისრა 7 000 ევროს გადახდა არამატერიალური, ხოლო 4 110 ევროს გადახდა მატერიალური ხარჯების დასაფარად.

- **ვალადიმირ სოკოლოვი რუსეთის წინააღმდეგ (განაცხადი №31242/05)**

აპლიკანტი ვლადიმირ სოკოლოვი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1970 წელს და ამჟამად 19 წლიანი პატიმრობის სასჯელს იხდის ნიჟნი-ნოვგოროდში (რუსეთი) მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენასა და ფლობაში. თავის განაცხადში იგი მიუთითებს, რომ ნიჟნი ნოვგოროდისა და მოსკოვის ციხეების წინასწარი დაკავების საკანში იგი იმყოფებოდა საშინელ პირობებში, საკნები იყო გადატვირთული და ვერ იღებდა ადეკვატურ სანედიცინო მკურნალობას. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (ადაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). შემდგომში, კონვენციის 34-ე მუხლზე (ინდივიდუალური საცვა) დაყრდნობით განმცხადებელი ასევე აღნიშნავს, რომ რუსეთის ხელისფულების წარმომადგენლები ცდილობდნენ მისი და მისი გარემოცვის დაშინებას, რათა არ მიემართა სტრასბურგის სასამართლოსათვის.

სასამართლომ დააგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის 34-ე მუხლი. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, სასამართლოს გადაწყვეტილებით სახელმწიფოს დაეკისრა 12 000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანისათვის.

<u>ანალოგი საქმეები</u>

- **შჩუროვი რუსეთის წინააღმდეგ (განაცხადი №40713/04)**

საქმე ეხება საბოლოო და აღსრულებისათვის მიქცეული გადაწყვეტილების გაუქმებას საზედამხედველო გადასინჯვის მოტივით, რომელიც განმცხადებლის სასარგებლოდ იყო გამოტანილი. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება).

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

- **ერკან კარტალი თურქეთის წინააღმდეგ (განაცხადი №41810/06 და 20871)**

აღნიშნულ საქმეზე აპლიკანტი ჩივის მისი სისხლის სამართლის საქმის განხილვის გაჭიანურების თაობაზე, რომელშიც იგი ბრალდებულად იყო ცნობილი უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების წევრობის და გამო. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გონივრულ ვადაში).

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი და მე-6 მუხლის I ნაწილი.

- **გიურკანი თურქეთის წინააღმდეგ (განაცხადი №1154/04)**

ეს საქმე უმეტესად ეხება ადმინისტრაციული წესით საქმეთა გაჭიანურებულ განხილვას, კერძოდ უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ შუალედური გადაწყვეტილების შესახებ არ ეცნობა განმცხადებელს და არც პასუხები გაეგზავნა ადმინისტრაციის მიერ. აპლიკანტი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გონივრულ ვადაში).

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

- **კარი თურქეთის წინააღმდეგ (განაცხადი №25257/05)**

ეს საქმე ეხება აპლიკანტისათვის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფო ხაზინისათვის გადაცემას ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი (საკუთრების დაცვა).

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.